

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის

ბრძანება №59

2009 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის
წესდების დამტკიცების თაობაზე

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 2 მაისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 02.05.2014 წ.](#)

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისის №275 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 2 მაისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 02.05.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება №135 - ვებგვერდი, 12.10.2015 წ.](#)

1. დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანდართული წესდება.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 2 მაისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 02.05.2014 წ.](#)

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებელი ა. სეფერთელაძე

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის
წესდება

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 2 მაისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 02.05.2014 წ.](#)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში – სასწავლო ცენტრი) არის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის №255 დადგენილების საფუძველზე.

2. სასწავლო ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით და ამ წესდებით.

3. სასწავლო ცენტრი ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში და წესით.

4. სასწავლო ცენტრი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ და მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. სასწავლო ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო (მათ შორის, სავალუტო) ანგარიში, ემბლემა, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. სასწავლო ცენტრის იურიდიული მისამართია: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი, მე-17 კილომეტრი.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 2 მაისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 02.05.2014 წ.](#)



მუხლი 2. სასწავლო ცენტრის მიზანი

სასწავლო ცენტრის მიზანია სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა, სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 12 ივნისის ბრძანება №253 - სსმ III, №73, 17.06.2009 წ., მუხ.806](#)

მუხლი 3. სასწავლო ცენტრის ფუნქციები

სასწავლო ცენტრის ფუნქციებია:

- ა) სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთათვის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება;
- ბ) სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- გ) სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ტესტირება;
- დ) ტრენერთა ჯგუფის ჩამოყალიბება და კოორდინირება;
- ე) ტრენერთა პერიოდული გადამზადება როგორც მოწვეული სპეციალისტების მიერ, ასევე მომზადება და სტაჟირება საზღვარგარეთის ანალოგიურ სასწავლო ცენტრებში;
- ვ) მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შემუშავება და გამოცემა;
- ზ) სამინისტროს სამოქმედო სფეროსთვის შექმნილი უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა;
- თ) სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის განახლება და ფუნქციონირება;
- ი) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, პენიტენციურ დაწესებულებებთან და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – არასაკაპიტმო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობა მათდამი დაქვემდებარებული პერსონალის მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით;
- კ) ურთიერთობა და თანამშრომლობა უცხოეთში მოქმედ ანალოგიურ სასწავლო ცენტრებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ლ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს და ემსახურება სასწავლო ცენტრის მიზნების მიღწევას.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 12 ივნისის ბრძანება №253 - სსმ III, №73, 17.06.2009 წ., მუხ.806](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება №135 - ვებგვერდი, 12.10.2015 წ.](#)

მუხლი 4. სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობა

1. სასწავლო ცენტრს ხელმძღვანელობს სასწავლო ცენტრის დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).

2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, ხოლო დირექტორის მოადგილის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილი სასწავლო ცენტრის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 18 აპრილის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 19.04.2013 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 2 მაისის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 02.05.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება №135 - ვებგვერდი, 12.10.2015 წ.](#)

მუხლი 5. სასწავლო ცენტრის დირექტორი

სასწავლო ცენტრის დირექტორი:

- ა) წარმოადგენს სასწავლო ცენტრს;
- ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, სხვა საკანონმდებლო აქტების, მინისტრის ბრძანებებისა და დავალებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც სასწავლო ცენტრის საქმიანობას ეხება;
- გ) ხელმძღვანელობს და წარმართავს სასწავლო ცენტრის საქმიანობას წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და ახორციელებს სასწავლო ცენტრის საერთო, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას; უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლსა და მეთოდურ ხელმძღვანელობას;
- დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო ცენტრის თანამშრომლებს, მათ მიმართ გამოიყენებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს და მინისტრის წერილობითი თანხმობის საფუძველზე ახორციელებს სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა წახალისებას (ფულადი პრემია);



დ¹) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში ახორციელებს სასწავლო ცენტრის თანამშრომელთათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შრომის ანაზღაურებაზე დანამატის დაწესებას;

ე) უფლება აქვს ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს ლექტორები, ტრენერები, სპეციალისტები და დაქირავებული მომსახურე პერსონალი კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად;

ვ) შეიმუშავებს სასწავლო ცენტრის ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს სამინისტროს;

ზ) ახორციელებს სასწავლო ცენტრის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;

თ) ხსნის და ხურავს სასწავლო ცენტრის საბანკო ანგარიშებს;

ი) ამტკიცებს მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლო პროგრამებს, მათი ჩატარების განრიგს;

კ) გასცემს შესაბამის სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატებს წარმატებით ტესტირებაგავლილ პირებზე;

ლ) კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ხელს აწერს ოფიციალურ, მათ შორის, საფინანსო დოკუმენტებს;

მ) მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს სასწავლო ცენტრის სამტატო განრიგს;

ნ) ამტკიცებს სასწავლო ცენტრის შინაგანაწესს;

ო) ანაწილებს მოვალეობებს სასწავლო ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

ო¹) ახდენს მის კომპეტენციას მიკუთვნებული ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირებას სასწავლო ცენტრის სხვა თანამშრომელზე;

პ) ატარებს სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა თათბირებს და ისმენს მუშაობის შედეგებს;

ჟ) სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს სასწავლო ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

რ) ასრულებს ამ წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 21 ივნისის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 21.06.2013 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 29.05.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №159 - ვებგვერდი, 25.12.2014 წ.](#)

მუხლი 5¹. დირექტორის მოადგილე

1. დირექტორს ჰყავს მოადგილე, რომელსაც მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი.

2. დირექტორის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დირექტორს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) ზედამხედველობს და კონტროლს უწევს სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;

გ) ახდენს სასწავლო ცენტრში მომზადებული დოკუმენტების ვიზირებას;

გ¹) სასწავლო ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტის საფუძველზე ახორციელებს მისთვის დელეგირებულ უფლება-მოვალეობებს;

დ) დირექტორის დავალებით ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

3. დირექტორის მოადგილე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 18 აპრილის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 19.04.2013 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 21 ივნისის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 21.06.2013 წ.](#)

მუხლი 6. სასწავლო ცენტრის სტრუქტურა

1. სასწავლო ცენტრი თავის უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

2. სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

ბ) ადმინისტრაციული სამსახური;

გ) ეკონომიკური სამსახური.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 18 აპრილის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 19.04.2013 წ.](#)



მუხლი 7. სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ამოცანები

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

- ა) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება;
- ბ) სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების განრიგის შემუშავება;
- გ) სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების განხორციელებისათვის მეთოდის შერჩევა-გაანალიზება;
- დ) ტრენერთა ჯგუფის ორგანიზება და მათი საქმიანობის კოორდინირება;
- ე) ტრენერთა პერიოდული გადამზადების კურსების ორგანიზება;
- ვ) სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების მონაწილეთათვის ატესტაცია;
- ზ) სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2. ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

- ა) სასწავლო ცენტრის ორგანიზაციული, ინფორმაციულ-სტატისტიკური და ანალიტიკური უზრუნველყოფა;
- ბ) სამართლებრივი საკითხების კოორდინირება;
- გ) შეხვედრების გამართვის, მასზე განსახილველი საკითხებისა და დღის წესრიგის პროექტების მომზადების ორგანიზება;
- დ) დირექტორის ცალკეული დავალებების შესრულება;
- ე) სასწავლო ცენტრში შემოსული კორესპონდენციის დამუშავება;
- ვ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ზ) დირექტორთან მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;
- თ) საზოგადოების ინფორმირება სასწავლო ცენტრის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების მიმდინარეობისა და მდგომარეობის შესახებ;
- ი) საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა.

3. ეკონომიკური სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

- ა) სასწავლო ცენტრის ბიუჯეტის და ხარჯთა ნუსხის პროექტის შემუშავება;
- ბ) სასწავლო ცენტრის ოპერატიული მართვა;
- გ) ძირითადი საშუალებების, ფულადი სახსრებისა და საფინანსო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარება;
- დ) ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია და წარმართვა;
- ე) კრებსითი ბალანსებისა და ანგარიშების მომზადება;
- ვ) სასწავლო ცენტრის კომუნალური და მიმდინარე გადასახადების გადახდის უზრუნველყოფა;

ზ) სასწავლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 12 ივნისის ბრძანება №253 - სსმ III, №73, 17.06.2009 წ., მუხ.806](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 18 აპრილის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 19.04.2013 წ.](#)

მუხლი 7¹. სასწავლო ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების მართვა

1. სასწავლო ცენტრის ეკონომიკურ სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც:

- ა) უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურის ძირითადი ამოცანების და ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას;
- ბ) ზედამხედველობს და კონტროლს უწევს სასწავლო ცენტრის ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;
- გ) კანონით დადგენილი წესით დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დირექტორისა და დირექტორის მოადგილის წინაშე.

2. ადმინისტრაციული სამსახურის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი.

3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორის მოადგილე.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 18 აპრილის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 19.04.2013 წ.](#)



მუხლი 8. სასწავლო ცენტრის ქონება

1. სასწავლო ცენტრს გააჩნია ქონება, რომელიც მას გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით.
2. სასწავლო ცენტრის ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა ფინანსური ფასეულობა და ფინანსური რესურსები.

მუხლი 9. სასწავლო ცენტრის ფინანსები

სასწავლო ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) მიზნობრივი გრანტები;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 10. სასწავლო ცენტრის სახელმწიფო კონტროლი

1. სასწავლო ცენტრი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. სასწავლო ცენტრის სახელმწიფო მაკონტოლებელი ორგანოა სამინისტრო, რომელსაც ნებისმიერ დროს უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარდგენა.
3. სასწავლო ცენტრი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარადგინოს ინფორმაცია განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე.
4. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სასწავლო ცენტრის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 11. სასწავლო ცენტრის ლიკვიდაცია

სასწავლო ცენტრის ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

